



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №36
2016 წლის 16 აგვისტო
ქ. სენაკი

**ქ. სენაკში, შ. რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების ნუმერაციის
განსაზღვრის თაობაზე**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის 3 აგვისტოს დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება მოქალაქე კახაბერი სამინავას განცხადების განხილვასთან დაკავშირებით, რომელიც ითხოვს ქ. სენაკში, შ. რუსთაველის ქ. №116-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში, მის საკუთრებაში არსებული ბინის ნომრის დადგენას. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 24 მაისის №17 განკარგულებით შექმნილმა - „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის დამდგენი დროებითი სამუშაო ჯგუფი“-ს მიერ გადანომრილ იქნა, შ. რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. გადანომრვის შედეგად დადგინდა, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი შედგება ერთი სადარბაზოსგან, ბინის ნუმერაცია კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებულ იქნა პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე განთავსებული ბინის დანომვრით მარჯვნიდან-მარცხნივ პრინციპით (ადგილმდებარეობის განსაზღვრით). მუშა ჯგუფის დასკვნის შესაბამისად მოქალაქე კახაბერი სამინავას საკუთრებაში არსებული ბინის ნომერი განისაზღვრა შემდეგი სახით: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქუჩა №116, პირველი სადარბაზო, მესამე სართული, ბინა №13 (საკადასტრო კოდი 44.01.28.199.01.033)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილების 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №17 დადგენილების და სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის დამდგენი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 11 აგვისტოს დასკვნის შესაბამისად

1. ქ. სენაკში, შ. რუსთაველის ქ. №116-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელ კორპუსში ბინების ნუმერაცია დადგენილ იქნა შემდეგი სახით:

სადარბაზო 1

- სართული 1 - ბინა №№ 1;
- სართული 2 - ბინა №№ 2; 3; 4; 5; 6; 7-16; 8; 9; 10; 11;
- სართული 3 - ბინა №№ 12; 13; 14; 15; 17; 18; 19; 20; 21; 22;
- სართული 4 - ბინა №№ 23; 23^ა; 24; 25; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32.

2. გამოცემული განკარგულების ასლი გადაეგზავნოს: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სენაკის რაიონულ სამსახურს; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სენაკის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს; მოქალაქე კახაბერი სამინავას (მცხ: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №116, პირველი სადარბაზო მე-3 სართული; ბინა №13).

3. განკარგულება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. განკარგულება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, ასევე გამოქვეყნდეს საკრებულოს ვებგვერდზე www.senaki-sakrebulo.ge.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ჯუმბერი ლაშქარავა